საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი დამოუკიდებელი ინსტიტუტების არარსებობის პირობებში

უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი დამოუკიდებელი ინსტიტუტების არარსებობის პირობებში

თბილისი
2025

კვლევის ხელმძღვანელები: ნონა ქურდოვანიძე
ნანუკა ყრუაშვილი

ავტორი: ნიკა ოდიკაძე

რედაქტორი: ხათუნა ყვირალაშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

აიწყო და დაკაბადონდა
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.
ჯ. კახიძის ქ.15 თბილისი 0102 საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება
კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

© 2025, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

***

2025 წლის 2 აპრილს „საკანონმდებლო მაცნეში“ გამოქვეყნდა კანონი „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი“,[1] რომელიც ამავე სახელწოდების ამერიკული კანონის ტექსტობრივი ანალოგია.

კანონის თანახმად, ნებისმიერი პირი ან ორგანიზაცია, რომელიც, კანონით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად, არის უცხოური სუბიექტის ინტერესების გამტარებელი, ვალდებულია, დარეგისტრირდეს, როგორც უცხოელი აგენტი. ანტიკორუფციული ბიუროს ხელმძღვანელს აკისრია ამ ვალდებულებების შესრულების მონიტორინგისა და კონტროლის ფუნქცია. კანონი ასევე ადგენს სანქციებს მათთვის, ვინც უარს იტყვის რეგისტრაციაზე ან არ შეასრულებს კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ამერიკული FARA („Foreign Agents Registration Act“) 1938 წელს მიღებული კანონია, რომელიც, ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით და ამერიკის შეერთებული შტატების („აშშ“) იუსტიციის დეპარტამენტისა და სასამართლოების განმარტებების შესაბამისად, მიზნად ისახავს არა დამოუკიდებელი საზოგადოებრივი და მედია ორგანიზაციების შეზღუდვას, არამედ მტრულად განწყობილი უცხო ქვეყნის ძალების აგენტების საქმიანობის გამოაშკარავებას.[2] რეგულირება მიემართება ისეთ შემთხვევებს, როდესაც უცხოეთიდან დაფინანსებული პირები ავტონომიურად არ მოქმედებენ და სრულად ექვემდებარებიან პრინციპალის მითითებებს.[3]

კანონმდებლობის რეალური შინაარსი არ განისაზღვრება მხოლოდ მისი ტექსტით, ხოლო სხვა ქვეყნებში მოქმედი კანონმდებლობის პირდაპირ გადმოღება ვერ უზრუნველყოფს მის იდენტურ ფუნქციონირებას.[4] რეგულირების რეალური შინაარსი სრულად ვლინდება მისი პრაქტიკული აღსრულების პროცესში. სამართლებრივი ნორმა, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს ერთი და იგივე ფორმულირება,

[1] საქართველოს კანონი „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი“, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/6461578?publication=0, განახლებულია: 08.04.2025.

[2] Robinson, N., “foreign Agents” in an Interconnected World: FARA and the Weaponization of Transparency, Duke Law Journal, Vol. 69, 2020, 1095.

[3] იქვე.

[4] Dixon, Rosalind & Landau, David. Abusive Constitutional Borrowing: Legal Globalization and the Subversion of Liberal Democracy. Oxford University Press, 2021.

სხვადასხვა იურისდიქციასა და სხვადასხვა დროში, შესაძლოა, სრულიად განსხვავებულ შედეგებს იწვევდეს, რაც განპირობებულია სამართლებრივი სისტემის სტრუქტურით, პოლიტიკური გარემოთი და ინსტიტუციური მექანიზმებით.[5]

„ტექსტის სწორად წაკითხვისა და გამოყენებისთვის აუცილებელია შუალედური ეტაპი — მისი გაგება. კონსტიტუციის, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა დოკუმენტის სიტყვებს, შესაძლოა, რამდენიმე მნიშვნელობა ჰქონდეს. სიტყვები შეიძლება გამოიყენებოდეს განუსაზღვრელობისა და აბსტრაქციის სხვადასხვა დონით. რომელი მნიშვნელობა და განსაზღვრულობის დონე უნდა ავირჩიოთ?"[6] პროფესორი აარონ ბარაქი გვირჩევს: „აირჩიეთ განუსაზღვრელობისა და აბსტრაქციის ის ხარისხი, რომელიც კონსტიტუციის დამფუძნებელი მამების ჩანაფიქრს შეესაბამება".[7]

ძნელად დასაჯერებელია, რომ ამერიკის ან საქართველოს კონსტიტუციის სულისკვეთება მიმართული იყოს ავტონომიური სამოქალაქო სივრცის გაქრობისა და გაერთიანების თავისუფლების შეზღუდვისკენ. კონსტიტუციური პრინციპები — დემოკრატია, პლურალიზმი და ადამიანის უფლებების დაცვა — მიგვითითებს, რომ სამართლებრივი ინტერპრეტაცია უნდა ემსახურებოდეს სწორედ ამ ღირებულებების დაცვასა და განმტკიცებას, და არა მათ შეზღუდვას.

სწორედ კანონიდან მომდინარე საფრთხეებზე გაამახვილა ყურადღება ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის დირექტორმა მარია თალალიანმა. მისი შეფასებით, მიღებული კანონი საფრთხეს უქმნის სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობას და ადამიანის უფლებების დაცვას.[8] ასევე, კანონი უარყოფით გავლენას იქონიებს გაერთიანების, მშვიდობიანი შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებაზე, რაც დემოკრატიისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია.[9]

---

[5] იქვე.

[6] ბარაქი ა. ჰერმენევტიკა და კონსტიტუციის ინტერპრეტაცია, პ. ჯავახიშვილის თარგმანი, ჟურნ. „სამართლის მეთოდები", N1, 2017.

[7] იქვე.

[8] „Georgia's foreign agents legislation raises concerns over negative impact on civil society, OSCE human rights office says", ხელმისაწვდომია: https://www.osce.org/odihr/588667?fbclid=IwY2xjawJaY6ZleHRuA2FlbQIxMQABHWeEdwz5xmgGbO6x1XwvCY-4a-73cQokPkWFnJJ-aMSAbqyF0sG5DRy4Tw_aem_ZLI_LCGyALfvcNYgE7P5oA, განახლებულია: 08.04.2025.

[9] იქვე.

აშშ-ში მოქმედი „უცხოელი აგენტების რეგისტრაციის აქტი“ ფუნქციონირებს ძლიერი ინსტიტუციური გარანტიების პირობებში, რაც ზღუდავს მის შესაძლო ბოროტად გამოყენებას. თუმცა, იმავე კანონმდებლობის იმპლემენტაციამ იმ სახელმწიფოში, სადაც დამოუკიდებელი ინსტიტუტები მმართველ პარტიას ემორჩილებიან, შესაძლოა, გამოიწვიოს სამოქალაქო საზოგადოების დისკრედიტაცია და ხელისუფლების მიმართ არალოიალურად განწყობილი კრიტიკული ჯგუფების დევნა.

არსებითია, რომ საქართველოს პოლიტიკური სისტემა სახელმწიფო სტრუქტურების ინსტიტუციური და ფუნქციური დამოუკიდებლობის ნაკლებობით გამოირჩევა. ეს განსაკუთრებით ეხება საზედამხედველო და მართლმსაჯულების ორგანოებს, რომლებიც უნდა ფუნქციონირებდნენ პარტიული გავლენების მიღმა და უზრუნველყოფდნენ ძალაუფლების დაბალანსებას, თუმცა ხშირად პოლიტიკური ინტერესების ქვეშ არიან მოქცეულნი.[10]

საქართველოში ამ კანონის პრაქტიკული აღსრულება დამოკიდებული იქნება ანტიკორუფციული ბიუროს მიერ მიღებულ კანონქვემდებარე აქტებზე, ასევე, სასამართლოსა და პროკურატურის მიერ მისი განმარტებისა და გამოყენების პრაქტიკაზე.[11] ვინაიდან ეს ინსტიტუტები სრულად ექვემდებარებიან მმართველი პარტიის – „ქართული ოცნების“ – კონტროლს, იქმნება წინაპირობა, რომ სამართლებრივ მექანიზმებს ისინი შერჩევითად და პოლიტიკური ინტერესების შესაბამისად გამოიყენებენ. ასეთ ვითარებაში, კანონმდებლობის რეალური დანიშნულება, შესაძლოა, გადაიქცეს ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილი პირების დევნის ინსტრუმენტად, რაც კიდევ უფრო დააჩქარებს ავტორიტარიზმის კონსოლიდაციის პროცესს და არსებითად შეასუსტებს დემოკრატიული მმართველობის საფუძვლებს.

---

[10] „დამოუკიდებელი ინსტიტუტები საფრთხის ქვეშ: დემოკრატიის მუდმივი გამოწვევა საქართველოში“, ხელმისაწვდომია: https://ge.boell.org/ka/2022/06/24/damoukidebeli-institutebi-saprtkhis-kvesh-demokratiis-mudmivi-gamocveva-sakartveloshi, განახლებულია: 08.04.2025.

[11] კანონის აღსრულება დაევალება ანტიკორუფციულ ბიუროს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ამ უკანასკნელის მიერ აგენტად მოაზრებული სუბიექტი არ აღასრულებს კანონის პირობებს, საკითხი სასამართლოში გადაინაცვლებს. ანტიკორუფციული ბიუროს უფროსს შეუძლია, მიმართოს სასამართლოს, რომელიც ამ პირს კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი შესაბამისი რეგულაციის შესრულებას დაავალდებულებს.

1) ანტიკორუფციული ბიუროს როლი „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტის“ აღსრულებაში

ანტიკორუფციული ბიურო („ბიურო“) „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტის“ ძირითადი აღმასრულებელი ორგანოა. კანონით სწორედ მას ენიჭება მთავარი ფუნქცია იმ სუბიექტების იდენტიფიცირებასა და განსაზღვრაში, რომლებიც უცხოური პრინციპალის აგენტად უნდა დარეგისტრირდნენ. ბიურო იღებს რეგისტრაციის განცხადებებს, აფასებს მათ შინაარსობრივად და, საჭიროების შემთხვევაში, იღებს ზომებს როგორც ჯარიმების დაკისრების, ისე სასამართლოსთვის მიმართვის სახით, რათა უზრუნველყოს ვალდებულებების იძულებითი შესრულება. ბიუროს ხელში თავმოყრილია მნიშვნელოვანი ბერკეტები, მათ შორის, დეტალური ფინანსური დოკუმენტაციის გამოთხოვნისა და სამართლებრივი რეაგირების ინიციირების შესაძლებლობა.

საზოგადოებაში ანტიკორუფციული ბიურო არ სარგებლობს მაღალი ნდობით. მისი საქმიანობა ხშირად აღიქმება, როგორც პოლიტიკურად მიკერძოებული, რაც განსაკუთრებით თვალში საცემი გახდა მას შემდეგ, რაც მან აქტიური ქმედებები დაიწყო სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიმართ.[12]

სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად ევროპული კომისიის („ვენეციის კომისია“) შეფასებით, არსებული ინსტიტუციური ჩარჩო არ უზრუნველყოფს ანტიკორუფციული ბიუროს დამოუკიდებლობის სათანადო ხარისხს, რადგან მისი ხელმძღვანელის დანიშვნა-გათავისუფლება პრემიერ-მინისტრზეა დამოკიდებული.[13] კომისიის რეკომენდაციით, ბიუროს უფროსს მრავალპარტიული მხარდაჭერა უნდა ჰქონდეს და ის პარლამენტის კვალიფიციური უმრავლესობით უნდა აირჩიონ.[14]

ანტიკორუფციული ბიუროს პოლიტიზების მაღალი ხარისხი ნათლად გამოჩნდა 2024 წლის წინასაარჩევნო პერიოდში, როდესაც ბი-

---

[12] „ანტიკორუფციული ბიუროს გადაწყვეტილებები სამოქალაქო ორგანიზაციების წინააღმდეგ“, ოდიკაძე ნ. და სხვები, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის III შუალედური ანგარიში, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია.

[13] „ვენეციის კომისია: ანტიკორუფციული ბიუროს დამოუკიდებლობა არსებული სახით არასაკმარისია“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/575038, განახლებულია: 08.04.2025.

[14] იქვე.

ურომ „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოსა“ და მის დირექტორს „განცხადებული საარჩევნო მიზნების მქონე სუბიექტის“ სტატუსი მიანიჭა, რითაც სადამკვირვებლო ორგანიზაციის დისკრედიტაციას შეეცადა.[15] 2024 წლის 1-ელ ოქტომბერს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ ბიუროს მოუწოდა, გადაეხედა თავისი გადაწყვეტილებისთვის,[16] რასაც ბიუროს ხელმძღვანელმა რაჟდენ კუპრაშვილმა დაუყოვნებლივ უპასუხა გადაწყვეტილების გაუქმებით.[17] ეს ფაქტი ბიუროს, როგორც დამოუკიდებელი ორგანოს, დაბალ ინსტიტუციურ დამოუკიდებლობასა და პოლიტიზების მაღალ დონეზე მიუთითებს.

იმ პირობებში, როდესაც ანტიკორუფციული ბიურო ვერ საქმიანობს მიუკერძოებლად და გამჭვირვალედ, ხოლო მისი ქმედებები ხშირად ემთხვევა მმართველი პარტიის ინტერესებს, არსებობს „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტის“ პოლიტიზებისა და გავლენიან ინსტრუმენტად ქცევის რეალური საფრთხე.

2) სასამართლოს როლი „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტის“ აღსრულების ზედამხედველობაში

კანონთან არსებითად დაკავშირებული მეორე სახელმწიფო ინსტიტუტი სასამართლოა. თუ პირი, რომელიც, ანტიკორუფციული ბიუროს ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით, უცხოური გავლენის აგენტად მიიჩნევა, არ დარეგისტრირდება კანონით დადგენილი წესით, ბიურო სასამართლოსგან რეგისტრაციის იძულებით უზრუნველყოფას მოითხოვს. სასამართლო წყვეტს, დაეკისროს თუ არა სუბიექტს ჯარიმა რეგისტრაციის განაცხადის წარდგენისგან თავის არიდების ან არასწორი მონაცემების მიწოდების გამო.

---

[15] ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის 2024 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილება №03/028-24, ხელმისაწვდომია: https://acb.gov.ge/ka/news/antikoruftsiuli-biuros-ufrosis-2024tslis-24-sektembris-gadatsqvetileba.

[16] საქართველოს მთავრობის ოფიციალური Facebook-გვერდი, 2024 წლის 1-ლი ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/GeorgianGovernment/posts/pfbid0ddgXjN36XYzTqVYig1eNC8t7BfXqdfZ9kHQdqYKf1zZZbPXzt26hzVngudsaFszyl, განახლებულია: 08.04.2025.

[17] ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის, რაჟდენ კუპრაშვილის ბრიფინგი, ანტიკორუფციული ბიუროს ოფიციალური Facebook-გვერდი, 2024 წლის 2 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/100090428315724/videos/3859307714285208, განახლებულია: 08.04.2025.

მიუხედავად იმისა, რომ, რეალურად, სასამართლო უნდა იყოს ნეიტრალური არბიტრი, ქართულ რეალობაში ის მხოლოდ პროცესის ფორმალური ლეგიტიმატორია. სასამართლო სისტემაში პოლიტიკური კორუფცია და ინსტიტუციური დამოუკიდებლობის კრიზისი წლების განმავლობაში არის კრიტიკის საგანი როგორც სამოქალაქო საზოგადოების, ასევე საერთაშორისო პარტნიორების მხრიდან.[18] მმართველი პარტიის მიმართ სასამართლო კორპუსის ლოიალურობა ვლინდება პოლიტიკურად მოტივირებულ გადაწყვეტილებებში, მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის („კლანის“) მიერ სისტემის კონტროლსა და გამჭვირვალობის ნაკლებობაში.[19] გარდა ამისა, სასამართლოს მაღალი ინსტანციები ხშირად არადემოკრატიული გზით კომპლექტდება, რაც საზოგადოების ნდობის კრიზისს იწვევს.[20]

ნიშანდობლივია, რომ 2025 წლის 2 აპრილს დიდმა ბრიტანეთმა მოსამართლეთა კლანის სათავეში მდგომ მოსამართლეებს - მიხეილ ჩინჩალაძესა და ლევან მურუსიძეს - სანქციები დაუწესა.[21] ასევე, 2023 წლის აპრილში აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა, მნიშვნელოვან კორუფციაში ჩართულობის გამო, ქვეყანაში შესვლაზე პერსონალური შეზღუდვები დაუწესა მოქმედ და ყოფილ მოსამართლეებს - მიხეილ ჩინჩალაძეს, ლევან მურუსიძეს, ვალერიან ცერცვაძესა და ირაკლი შენგელიას.[22]

უკვე წლებია, სასამართლო პოლიტიკურად მოტივირებულ, „ქართული ოცნებისთვის“ სასარგებლო გადაწყვეტილებებს იღებს, რაც, საბოლოოდ, ქვეყნის დემოკრატიულ წინსვლას უშლის ხელს. ეს კიდევ უფრო ზრდის ეჭვებს, რომ „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის

---

[18] კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, მართლმსაჯულების რეფორმების 10 წელი: გამოწვევები და პერსპექტივები, 2023, ხელმისაწვდომია: https://www.coalition.ge/files/reporma_170x240_geo_3.pdf, განახლებულია: 08.04.2025.

[19] იქვე.

[20] ნ. ნოზაძე, „ვიწრო წრე - სასამართლოში მენეჯერულ თანამდებობებზე კლანის წევრთა განაწილება“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2021 წელი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/2ByqsRt, განახლებულია: 08.04.2025.

[21] „დიდმა ბრიტანეთმა ჩინჩალაძესა და მურუსიძეს ფინანსური სანქციები დაუწესა“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33368718.html, განახლებულია: 08.04.2025.

[22] Public Designations of Mikheil Chinchaladze, Levan Murusidze, Irakli Shengelia, and Valerian Tsertsvadze, Due to Involvement in Significant Corruption, Press Statement, U.S. Department of State, 5 April 2023, available at: https://www.state.gov/public-designations-of-mikheil-chinchaladze-levan-murusidze-irakli-shengelia-andvalerian-tsertsvadze-due-to-involvement-in-significant-corruption.

აქტის“ საფუძველზე ან მასთან დაკავშირებით წარმართული სასამართლო პროცესი არასამთავრობო ორგანიზაციების და კრიტიკული მედიის წინააღმდეგ იქნება მიმართული.

3) პროკურატურის როლი „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტის“ აღსრულებაში

როდესაც კანონის დარღვევა სცდება ადმინისტრაციულ ჩარჩოს (მაგალითად, რეგისტრაციისთვის თავის არიდება, დოკუმენტების გაყალბება, გამოძიების დაბრკოლება ან სხვა დანაშაულებრივი ქმედებები), ანტიკორუფციულ ბიუროს შეუძლია, მიმართოს პროკურატურას შემდგომი რეაგირებისა და სისხლისსამართლებრივი გამოძიების დაწყების მიზნით.

მიუხედავად წლების განმავლობაში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებისა, რომლებიც მიზნად ისახავდა პროკურატურის დამოუკიდებლობის გაძლიერებას, ფართო საზოგადოებრივი შეფასებით, პროკურატურა კვლავ მმართველი ძალის ინტერესების შესაბამისად მოქმედებს.[23] ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭების განაცხადთან დაკავშირებით 2022 წლის 17 ივნისს გამოქვეყნებულ მოსაზრებაში, ევროპული კომისია (ევროკომისია) მნიშვნელოვნად მიიჩნევდა სასამართლოსა და პროკურატურის დამოუკიდებლობის, ანგარიშვალდებულებისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფას.[24]

საქმეები, რომლებიც უკავშირდება კრიტიკულ მედიას, ოპოზიციურ ფიგურებს ან სამოქალაქო აქტივისტებს,[25] ხშირად აღიქმება, როგორც შერჩევითი სამართალი, რაც ამყარებს ნარატივს მისი პოლიტიზების შესახებ. საერთაშორისო პარტნიორებმა და ადგილობრივმა ორგანიზაციებმა არაერთხელ გამოხატეს შეშფოთება პროკურატურის ინსტი-

[23] „ვენეციის კომისიის დასკვნა პროკურატურასა და სასამართლოში ძირეული რეფორმების საჭიროებაზე მიუთითებს“, საიას ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/post/veneciis-komisiis-daskvna-prokuraturasa-da-sasamartloshi-dzireuli-reformebis-satchiroebaze-miutitebs, განახლებულია: 11.04.2025.

[24] „საიას განმარტება ევროპული კომისიის მოსაზრებასთან დაკავშირებით“, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/post/saias-ganmarteba-evropuli-komisiis-mosazrebastan-dakavshirebit, განახლებულია: 08.04.2025.

[25] „საია დემონსტრანტების წინააღმდეგ სისხლის სამართლის მექანიზმების გამოყენებას აფასებს“, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/post/sisxlissamartlissaqmeta-monitoringi, განახლებულია: 08.04.2025.

ტუციური დამოუკიდებლობის ნაკლებობის გამო, რაც მნიშვნელოვან ზიანს აყენებს მის მიმართ ნდობას და მთლიანად სამართლის სისტემის ლეგიტიმაციას.[26]

აღსანიშნავია, რომ დიდმა ბრიტანეთმა 2025 წლის 10 აპრილს, ადამიანის უფლებების დარღვევების მიზეზით, სანქციები დაუწესა საქართველოს გენერალურ პროკურორს გიორგი გაბიტაშვილს.[27]

შეჯამება

კანონის განმარტებასა და აღსრულებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო სტრუქტურების ინსტიტუციური და ფუნქციური დამოუკიდებლობის არარსებობა, მის მიღებასთან დაკავშირებული პოლიტიკური კონტექსტი და „ქართული ოცნების“ აშკარად ბოროტი მიზნებით ნაკარნახევი კანონშემოქმედებითი მოტივაცია ცხადყოფს, რომ კანონის მიღება არ ემსახურება გამჭვირვალობას, არამედ მიზნად ისახავს დამოუკიდებელი სამოქალაქო სივრცეების შეზღუდვას. მკაცრი სანქციებისა და ეროვნულ დონეზე ხელმისაწვდომი დაფინანსების ალტერნატივების არარსებობის პირობებში, კანონის „ქართული ოცნების“ ინტერპრეტაციის შესაბამისად ამოქმედება, პრაქტიკულად, სამოქალაქო სექტორის აკრძალვას ნიშნავს.

[26] „გენერალური პროკურორის დანიშვნის ახალი წესზე უარი მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის გაშვებული შესაძლებლობაა“, ხელმისაწვდომია: https://www.gyla.ge/post/generaluri-prokuroris-danishvnis-akhali-tsesze-uari-martlmsajulebis-sistemis-reformis-gashvebuli-shesadzleblobaa, განახლებულია: 08.04.2025; „ევროკომისიის შეფასების მიმოხილვა (12 პრიორიტეტის შესრულება და ახალი დათქმები)“, https://idfi.ge/ge/review_of_the_european_commission_s_assessment_implementation_of_the_12_priorities_and_new_conditions, განახლებულია: 08.04.2025.

[27] „Update to the UK Sanctions List: Global Human Rights Sanctions Regime“, https://content.govdelivery.com/accounts/UKORGESO/bulletins/3db26a1?fbclid=IwY2xjawJkjaVleHRuA2FlbQIxMAABHtVC1nazGIfGHe7MBfbdlQ5n51taky-58Jvq355gnVdLRllxC4hMu-HruDge_aem_uleLp0xnpe9B40bE4PX2Dg.